ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა
კომისიის სხდომის ოქმი №17

23 ოქტომბერი , 2018 წელი
15:00 საათი

(ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის ოთახი 329)

სხდომას ესწრებოდნენ ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრები:

1. გიორგი ბირბიჩაძე
2. გიორგი დოხტურიშვილი
3. ნინო ლაცაბიძე;
4. ოთარ გრიგოლია
5. ლილე ლიპარტელიანი;
6. დათო ჟღენტი;

სხდომის დღის წესრიგი:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის საქმიანობის შეჯამება და სამომავლო გეგმების განხილვა.

სხდომას თავმჯდომარეობდა ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ბირბიჩაძე.

გიორგი ბირბიჩაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა. კომისიის წევრებს წარმოუდგინა ქვორუმი და გააცნო დღის წესრიგი.

ნინო ლაცაბიძემ გამოთქვა მოსაზრება, მოწვეული იქნას საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კურატორი მოადგილე, რათა კომისია წინასწარ იყოს ინფორმირებული 2019 წლის სოციალური სფეროს პრიორიტეტების შესახებ.

გიორგი დოხტურიშვილმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ერთიანი მიდგომების შემუშავებისთვის საჭიროა ეფექტური კომუნიკაცია სოციალური მომსახურების რაიონული ცენტრების ხელმძღვანელებთან და რაიონის გამგებლის მოადგილეებთან.

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ბირბიჩაძემ, აღნიშნა რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი წევრის წარმომადგენლობა რაიონებში საჭიროებს დატრენინგებას ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მიმართულებით, რათა

მოქალაქეებს მიაწოდონ ზუსტი და ამომწურავი ინფორმაცია ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამების შესახებ როგორც მუნიციპალურ, ისე სახელმწიფო დონეზე.

კომისიამ გადაწყვიტა:

1. გამოთხოვილი იქნას სტატისტიკური ინფორმაცია სოციალურად დაუცველი მოსახლეობის შესახებ ქ. თბილისის რაიონების მიხედვით სოციალური მომსახურების სააგენტოდან.
2. მოხდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი წევრის რაიონული წარმომადგენლობების დატრენინგება ჯანდაცვის პროგრამების და სოციალური პროგრამების შესახებ.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ
საკითხთა კომისიის თავმჯდომარე — გიორგი ბირბიჩაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრები
თარიღი: 23.10.2018წ. საათი: 15:00

1	გიორგი ბირბიჩაძე	
2	ნინო ლაცაბიძე	
3	თამარ ტალიაშვილი	
4	ოთარ გრიგოლია	
5	გიორგი დოხტურიშვილი	
6	გიორგი მუსხელიშვილი	
7	ვლადიმერ ძნელაძე	
8	დათო ჟღენტი	
9.	ფრიდონ ინჯია	
10	ლილე ლიპარტელიანი	